№ 7. 11 იანვარი, კვირა. 1866—1881 11 იანვარი. კვირა. № 7.


რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., თავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.



არწრუნის თეატრში

კვირას 11 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

კეთილი და უმანკო ანგელოზი

კომედია სამს მოქმედებად.

II

ნაპერწკალი

ვოდევილი ორს მოქმედებად.

ბილეთები იყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.


## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 9 იანვარს. ჩინეთის ელჩმა მარკიზ ძენგმა აცნობა რუსის მთავრობას, ჩინეთის იმპერატორი თანახმა არის იმ პირობისა, რომელიც პეტერბურღში შევადგინეთო და ამ პირობით ჩინეთსა და რუსეთს შუა კანტრაქტი უნდა შეიკრასო. კულჯის საქმე ამ კანტრაქტის ძალით სრულიად გათავებული იქნება.

რომი, 8 იანვარს. ჩერნოგორია არ ეთანხმება ოსმალეთის კამისარს საზღვრების შესწორებაზედ, რადგან იმას (ჩერნოგორიას) არა სურს, რომ თავის პოზიცია ბაიანზე ვისმე დაუთმოს.

პეტერბურღის ბირჟა, 9 იანვარს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 25 |
| მეორესი | 93 | 12 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 86 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 220 | 50 |
| მეორე სესხის | 219 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 25 — 3 | პენსი |
| ჰამბურღი | 213 — 12 | ცენტი |
| პარიჟი | 264 — „ | სანტიმი |
| ვენა | 129 — 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — |

## ოსმალეთ-საბერძნეთის საქმე

ტფილისი, 10 იანვარს.

ოსმალეთი ამ ჟამად სწორეთ ისეთს მდგომარეობაშია, როგორც კაცი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კაცი სხვა-და-სხვა მხრით სწევენ, ათრევენ. ამისთანა მდგომარეობაში მყოფი თავის ადგილიდამ ფეხს არ იცვლის, ერთს ალაგას რჩება, რადგან ყოველის მხრით სწევენ.

ყველა ჰხედავს, ყველა გრძნობს, რომ ოსმალეთის სახელმწიფო მიხრწნილია, რომ დღეს თუ ხვალ იმას დასასრული, სიკვდილი მოელის.

მაგრამ ბედი ამისი ის არის, რომ ევროპის რამდენიმე სახელმწიფო ერთად და ერთს დროს თავისკენ სწევს, თითოეულ ამ სახელმწიფოთაგანს ჰსურს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, მომეტებული ლუკმა დარჩეს იმის მოსპობის შემდეგ, და, ამგვარი მდგომარეობის წყალობით, ოსმალეთი ისევ თავის ადგილას არის გაჩერებული, ისევ თითქო მაგრად დგას ფეხებზე.

ინგლისი მოსთხოვს რასმე, ყურსაც არ გაიბერტყს: იცის, რომ ავსტრია ან რუსეთი ინგლისს წინ აღუდგება; რუსეთი მოსთხოვს რასმე, არც ამას შეასრულებს, რაც უნდა კანონიერი იყოს ეს მოთხოვნილება, რადგან კარგათ იცის, რომ რუსეთს ძალის დატანების ნებას არ მისცემენ ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები; ბერლინის კონფერენცია გადუწყვეტს რასმე, ოსმალეთი მაინც გულ-დამშვიდებულია, იცის, რომ თუ ორმა სახელმწიფომ მოითხოვა ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, სხვა ორი ანუ სამი ამის წინააღმდეგი იქნება.

აი აქედამ წარმოსდგება ის გაწვალებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ევროპა ოსმალეთისაგან; აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ, თუმცა ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებმა ორჯერ გარდასწყვიტეს — თუ რავვარად უნდა დააკმაყოფილოს ოსმალეთმა საბერძნეთი, თუ რა ადგილები უნდა დაუთმოს იმან საბერძნეთს, საზღვრებიც გაიყვანეს და ყველაფერი, მაგრამ ოსმალეთი თითქმის ყურსაც არ იბერტყს, ხან ერთსა და ხან მეორე მიზეზს იგონებს და ამ ნაირად საქმეს აგვიანებს, ყველას ატარებს, ატყუილებს. იცის, იმედი აქვს, რომ ევროპის სახელმწიფოები, ერთმანეთის ჯიბრით და შურით, ერთს რომელსამე სახელმწიფოს არ მისცემენ ნებას ოსმალეთის დაჩაგვრისას, ძალ-დატანებისას.

ძალიან ცხარედ შეუდგა საქმეს პირველად გლადსტონის სამინისტრო; სასტიკი მიწერილობა გაუგზავნა თავის სტამბოლელ ელჩს, ურჩიე ოსმალეთის მთავრობასაო, რომ დროზე შეასრულოს ბერლინის კონფერენციის გარდაწყვეტილებაო. მაგრამ არა გამოვიდა-რა გარდა იმისა, რომ რის ვაი-ვაგლახით ჩერნოგორიისათვის დაათმობინა პატარა ქალაქი — დულციონო.

საბერძნეთისა და ოსმალოს შუა განხეთქილება დღემდინ ისევ გაუთავებელი რჩება. ორივე სამხრად ემზადებიან, ორივე ხარჯს ეწევიან, ორივე თავის საზღვრებზე ჯარებს აყენებენ და ისევ ხმლის საშუალებით აპირებენ ერთმანეთში მორიგების, ზავის ჩამოგდებას.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის სახელმწიფოების შუამავლობამ ამ პატარა საქმეშიაც კი ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი, ვერ დაითანხმა ორი პატარა, სუსტი სახელმწიფო, რომ მშვიდობიანათ გაეთავებინათ საქმე.

ერთად-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ამისი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ის გარემოება არის, რომ

---

## «დროების» ფელეტონი, 11 იანვარს.

### წერილი ბუზეთიდამ

ბუზეთი ამ ჟამად ვერ არის კარგს მდგომარეობაში. სხვა ბუზებს შორის მრავალნი გესლიანი მწერებიც გამორეულან. ეს უკანასკნელები ზოგი დიდია, ზოგი პატარა; მაგრამ სხვა ბუზებზე, საზოგადოთ, უფრო დიდებათ ითვლებიან და ჰსცდილობენ სოლცარ კბენას; უნდათ მოსპონ ბუზეთის მცხოვრებლები. წვრილნი ბუზები თავ-გამოდებულნი არიან ამაზედ და წინააღმდეგობას უწევენ მავნეებს.

ნამდვილი სახელი მავნეებისა არის „მუტრუკები“ (უკაცრავათ ნუ ვიქნებით „ფალანგასთან,“ რომ ამ სიტყვას ვხმარობთ. იქნება მისმა „გრუზინმა“ იწყინოს, როცა წაიკითხავს, მაგრამ მისგან გვესწავლია და ურიგობა არ იქნება მისი ნაყოფი მანვე მიირთვას და გასინჯოს). მუტრუკებთან ჰაზრით ბრძოლა და დამტკიცების მოყვანა რომელსამე ჰაზრისათვის წყლის ნაყვაა. ისინი, როცა საქმე გაუჭირდებათ და ჰხედვენ, რომ ლოღიკით ვერას გაიტანენ, ამბობენ, რომ „გაჩუმდით, ხმა ჩაიკმინდეთ, თორემ ჰხედავთ ამ ჩვენს მუტრუკულს ფეხებსო! სულ ერთიანად გავსრესთ თქვენისთანა წვრილებსაო!“

ასე იძახიან, მაგრამ იმედი მაინც არ დაგვკარგვია ჯერ. ეს ვიცით, რომ მუტრუკები მარტო ახლა კი არ გამოჩენილან. წინეთაც ჰყოფილან, ბევრი უფუნდრუკებიათ, ბევრისათვის მიურტყმევიათ წიხლები, მაგრამ ბოლოს იმათაც სიმწრის დღე დასდგომიათ.

ბუზურად ნათქვამია: „რასაც დასთეს, იმას მომკიო,“ „ლომი მძლავრი ცხოველია, მაგრამ კოღომ, დრო შეჰხვდა, შეწუხება მიაყენაო,“ „ფუთკრის კარგი მოვლა სამართალია — თაფლს გააკეთებს და გასიამოვნებსო“.

საინტერესოა გაეცნოთ ერთს წერილს, რომელიც მე გუშინ წინ ერთს ჩემს კეთილის მყოფელს მივსწერე. ეს წერილი დაგიმტკიცებს თქვენ, რომ ჩვენ, ბუზებს, შესანიშნავი კაცებიც (რასაკვირველია, ბუზთაგანი) გვყოლია. იმ ჩემს კეთილის მყოფელსაც გაუხარდება, როცა მასთან მიწერილს წერილს საქვეყნოდ გამოცხადებულს დაინახავს, მიტომ რომ იმაშია ნაჩვენები მისი ვინაობა, მისი შესანიშნაობა.

„საყვარელო კეთილის-მყოფელო ჩემო!...

„უმეტეს ხარისხამდის სიხარულს მიეცა გული ჩემი, ოდეს სცნა წარმატება თქვენი, თქვენი წინ-წასვლა, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე უცხო ენაზე, თქვენი პროგრესი. აქამდის თქვენ ბევრი მეცნიერება შეგისწავლიათ, თითქმის ენციკლოპედისტის სახელი შეგფეროდათ და ახლა კიდევ შესანიშნავი ბიჯი გადაგიდგამსთ, შორს წასულხართ, როგორც ადგილის სივრცით, ისე მეცნიერებაში განვითარებითაც. აგერ მესამე თუ მეოთხე მაზრაში გადაგიბჯნიათ, მაშინ, როდესაც თქვენს მოწინააღმდეგებს ერთშიაც ვერ მიუდგამსთ ფეხი. თქვენ პირველად გამოიჩინეთ თავი ზადეოლოგიის მეცნიერებაში, ე. ი. იმ მეცნიერებაში, რომელიც აუმჯობესებს კაცის მატერიალურ მდგომარეობას მით, რომ ასწავლოს მას, როგორ შეიძლება გამართოს ბალები და მორთოს ისინი მშვენივრად, ისე რომ თითქმის თავისი ერთი გროშიც არ დახარჯოს. მერმე თქვენ გამოაჩინეთ თავი ქარვასლოლოღიაში, რომელიც ასწავლის კაცს იაფად, ძლიერ იაფად შენობის აგებას. ამის შემდეგ თქვენ დაჰსწერეთ დისსერტაცია და მიიღეთ კიდეც ხარისხი დოქტორობისა შოსეოლოღიის მეცნიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ევროპის სახელმწიფოებთ შორის არ ჰსუფევს თანხმობა. აბა ერთი ყველა სახელმწიფოებმა ერთად, თანხმად და ერთი-და-იგივე გადაწყვეტილება გამოუცხადონ და ერთი-და-იგივე მოსთხოვონ ოსმალეთს, თქვენ ნახავთ—თუ იმან ხმის ამოღება და წინააღმდეგობა გაბედოს! და არა თუ სუსტი, მომაკვდავი ოსმალეთი, ვერც ერთი ევროპის ცალკე სახელმწიფო ვერ გაბედავს ყველა სახელმწიფოებისაგან თანხმობით მიღებულს და განაჩენის გარდაწყვეტილების უარ-ყოფას, წინააღმდეგობას.

ადრე იქნება თუ გვიან, ყველა მოელის ერთს დროს, როდესაც ხალხის დამღუპავი და ყოველი წარმატების დამაბრკოლებელი ომები მოისპობა ევროპაში. საუკეთესო განათლებული კაცები დიდი ხანია უქადაგებენ კაცობრიობას, რომ ბარბაროსობაა ადამიანის მოკვლა, ერთის ხალხისაგან მეორესი ამოჟლეტა, ომით აკლება, განადგურება ქვეყნისა, ძმისაგან ძმის სისხლის დაქცევა. ურჩევენ ისეთის ევროპის სასამართლოს (შედიატორეთ რჩევის) დადგენას, რომელსაც შეეძლოს ხალხთა-შორის ყველა უთანხმოებისა და დავების გარჩევა და გარდაწყვეტა.

ახლანდელს კაცობრიობაში იმდენი უსამართლოება ტრიალობს, ისეთი თაყვანის-ცემა ძალისა და არა სამართლიანობისა, იმდენი ხალხები არიან ძალისაგან დაჩაგრულები, რომ მალე არ უნდა მოველოდეთ იმ დროს, როდესაც ზემოხსენებული წესი შემოიღება და დამტკიცდება ქვეყანაზედ. ჯერ კიდევ ყველა მუშტს, ფარ-ხმალს შესჩერებია, ამის იმედი აქვსთ, ამაზედ ამყარებენ თავის ძალასა და სამართალს.

მაგრამ, ვიმეორებთ, ადრე იქნება თუ გვიან, ისეთი დროც დადგება, როდესაც ხეპრულ ძალასა და მუშტს პატივი მოაკლდება და ყველა ხალხთა შორის უთანხმოება მშვიდობიანად, სისხლ-დაუღვრელად გადაწყდება.

ეს დღე ბედნიერი დღე იქნება კაცობრიობის ცხოვრებაში: რაც ახლა სახელმწიფოებს ჯარების შენახვაზე უანგარიშო ფული ეხარჯებათ, მაშინ ხალხის განათლებისა და სხვ.-და-სხვა საქვეყნო კეთილ-საქმეებისათვის დაიხარჯება; რაც ახლა ხალხი მხედრობას უნდება, ეს ხალხი მაშინ უფრო ნაყოფიერ საქმეს, ქვეყნის წარმოების მომატებას დაადგება,—და ორივე ეს იქნება საძირკველი ხალხთა კეთილ-დღეობისა..

## ახალი ამბები

ჩვენ გვაცნობებენ, რომ კახეთში, სოფ. ახმეტას თ. რევაზ ჩოლაყაშვილის ოჯახში არის ძველებური ხელთნაწერი „ვეფხვის ტყაოსანი,“ რომელიც დაწერილია ტყავზედ და ფურცლებზედ გარშემო არშიათ არის დახასმული ყვითელის ვარაყით ყვავილებით.

ხსენებული „ვეფხვის ტყაოსანი“ მოტანილია პეტერბურღიდამ; ის ყოფილა მეფის ირაკლის და შემდეგ მეფის გიორგის სახლთ-უხუცეს თ. ქაიხოსრო ჩოლაყაშვილს შეუძენია.

* * *

მთელს ქალაქში არც ერთს უბანში არ ცხოვრობს იმდენი ღარიბი ხალხი, რამდენიც ჰავლაბარში და ამის გამო ახლანდელი სიძვირე ყველაზე უფრო საგრძნობელი და შემაწროებელი ჰავლაბრელებისათვის არის. ჩვენ გვატყობინებენ, სხვათა შორის, რომ ამას წინათ ერთს ჰავლაბრის მცხოვრებს ექვსი წლის შვილი მოუკვდა შიმშილითაო...

* * *

ჩვენ პირველად ვნახეთ გუშინ წინ, ხუთშაბათს, ფითუაშვილის კერძო თეატრი და მართალი უნდა ვსთქვათ, გაგვიკვირდა ამ თეატრის სიმშვენიერე და მდიდრული მოწყობილობა. მაყურებლებისათვის ზალა პატარაა. მაგრამ მაგიერად სცენა ისეთი ფართო და სრულია, რომ ორმოცი მომქმედი პირიც თავისუფლად მოთავსდება.

ამ საღამოს არდგენდნენ რუსულ კომედიას **„Лакомый кусочекъ“**—ალექსანდროვის სამ-მოქმედებიან კომედიას. თუ წარმოიდგენთ, რომ ამ პიესის ასრულებაში მიიღეს მონაწილეობა ისეთს დახელოვნებულ და ნიჭიერ მოთამაშეებმა, როგორც ფითოევის მეუღლემ (ადრინდელი მარქსის ქალი), პალმმა, აპაჩინინმა და სხვ., ადვილად მიხვდებით, რომ პიესა ჩინებულად უნდა ეთამაშნათ.

შემოსავალი ამ წარმოდგენიდამ დანიშნული იყო თფ. საქალაქო სახელოსნო და პირველ-დაწყებით სკოლების სასარგებლოდ.

* * *

გორიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური ხიდი, რომელიც შეკეთებული იყო და რომელზედაც ქვეითი ხალხი დადიოდა, ხელ-მეორედ წაიღო მტკვარმაო და ახლა ისევ პარომზე დადიანო.

* * *

სურამიდამ გვწერენ, რომ ჩვენს მხარისაკენ ამ უკანასკნელს დროს ერთობ გახშირდა ავაზაკობაო და ამის მიზეზი ის არისო, რომ ადგილობრივი პრისტავი ყურადღებას არ აქცევს ზოგიერთ თავ-ხედ თავადიშვილებს, რომელთაც კაცის დაჩეხა თითქო არაფრად მიაჩნიათო.

* * *

ამ უკანასკნელ დროს თფილისში გამოვიდა შემდეგი ქართული წიგნები: „წმ. გიორგის ცხოვრება“—რუსულიდამ ნათარგმნი აბესაძისა. „სიზმრის ახსნა,“ აგრეთვე რუსულიდამ ნათარგმნი აპეტელოვისაგან და ორნაირი „კალენდარი“ ს. მდივანისა.

* * *

სია საგნებისა, რომელიც ქალაქის რჩევამ უნდა განიხილოს ხვალ, ორშაბათს, 12 იანვარს:

1881 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში;

მოხსენება ხმოს. კ. ა. ბებუთოვისა სახელოსნო და საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლებისათვის ზედამხედველის დანიშვნის თაობაზედ;

ამორჩევა დეპუტატების გამსინჯველ კასსების რევიზიისათვის;

განხილვა ორი პარომის კონტრაქტისა და სხვ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის დეპუტატების პალატამ მიიღო კანონად ვალდებითი სწავლის შემოღება საფრანგეთში. მოგვყავს შემოკლებით ამ შესანიშნავი კანონის მუხლები:

**პირველი მუხლი** კანონისა მიღებულია შემდეგის რედაქციით: დაწყებითი სწავლა შეიცავს ზნეობითი და სამოქალაქო განათლებას, კითხვა—წერას ფრანცუზულ ენაზედ და დასაწყისს ფრანცუზულის ლიტერატურისას, გეოგრაფიას უმთავრესი საფრანგეთისას, ეგრეთვე მოკლე ისტორიის საფრანგეთისას დღევანდლამდინ, ახსნა კანონისა და პოლიტიკურ ეკონომიისა; ელემენტალური კურსი ბუნების მეცნიერებისა: ფიზიკა, მათემატიკა და იმათი მოხმარება მეურნეობაში, გიგიენაში, ვაჭრობაში, ხელოსნობაში, და ფაბრიკების ხელობაში, მხატვრობა, მუზიკა და გიმნასტიკა. ვაჟებისთვის მხედრული ვარჯიშობა, ქალებისთვის—კერვის სწავლა.

**მეორე მუხლი**, რომელიც ამბობდა, რომ სარწმუნოების სწავლა შეიძლება ყმაწვილებმა სკოლაში მიიღონო, თუ მშობლები და მღვდლები ერთმანეთში მორიგდებიან, ერთ ხმით უარი ჰყო პალატამ.

**მესამე მუხლი.** აუქმებს 18 და 44 კანონს 15 და 27 მარტის 1850 წლი-

---

„თქვენ, როგორც მოგვითხრობს თქვენი ბიოგრაფია, **სიმინდოლოდის** და **ჩალვადროლოდიას** კარგათ გისწავლიათ. ეს ყველაფერი იმოქმედეთ მეცნიერების წარმატებისა და ბუზეთის ხალხის სიკეთისათვის.

„ახლა კიდევ ამ უკანასკნელად, ხალხისთვის ტანჯულო და უკუნისამდე სახსოვარო, პედაგოგიურ საქმეშიაც შეგიტოპავსთ და ბაგენი თქვენნი ჰლაღადებენ ჭეშმარიტებას, რომელიც შესაძლოა ითქვას მხოლოდ ბუზეთში (ეს ღირსება გახლავსთ ბუზეთისა, ამიტომ რომ ამისთანა ჭეშმარიტება უცხოა სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც მეტიჩრობენ და თავს ყველაზე უფრო განათლებულებათ ითვლიან).

„გმადლობთ, გმადლობთ, რომ კაცობრიობისთვის თავს იწუხებთ! ჩვენ ამას გადახდა არ შეგვიძლია, მაგრამ შეიძლება ჩვენმა შვილის-შვილებმა ან შვილის-შვილის-შვილებმა მაინც გადაგიხადონ, თუ არა და ღმერთი გადაგიხდისთ!.. ჩვენ მხოლოდ ვისურვებთ თქვენს კარგად ყოფნას და კიდევ წარმატებას.

„მომიკითხეთ თქვენი ორი შესანიშნავი შაგირდი, რომლებიც კარგს გზაზედ დაგიყენებიათ. ახლა ვგონებ ეგზამენები აქვსთ, და ვისურვებ, რომ გაიმარჯვონ. იმედია, ყველა დავთრები და რვეულები ფორმისამებრ ექნებათ დაწერილები, წმინდათ, ლამაზად და მეტი რაღაა საჭირო. ახლა პედაგოგია აღარ ჰთხოულობს მეტს რასმე. თქვენისთანა პედაგოგის ხელში, რასაკვირველია, საქმე ჩინებულად წავა“.

თქვენის პატივის მცემელი
ბუზი-ბზუილა.

ბუზეთი, 6 იანვარს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბუზეთშიაც საოცარი ტრიალი შეიქნა პედაგოგიურ კითხვებისა, ასე რომ „დროების“ და „კავკაზის“ პედაგოგიური ბაასი არაფრად ჩაითვლება მასთან, რაც ბუზეთში ჰხდება. ყოველმა წოდებამ და ყოველმა ხელობამ მონაწილეობა მიიღო მსჯელობაში. უმეტესი ყურადღება მიიპყრო, როგორც ჩვენში, პარალელურმა სწავლებამ. „რა არის პარალელური სწავლებაო?“ სხვა ქვეყნებში პედაგოგებსაც ვერ გაუგიათ ხეირიანათ, თუ რაში მდგომარეობს პარალელური სწავლება და ამ ჩვენი ბუზეთის ერთს კუთხეში მთელი ხალხი ყოფილა, რომელშიაც დიდიდამ პატარამდის ყველას კარგად ჰსცოდნია ეს. თუ არ დამიჯერებთ, წაბძანდით იქ და ჰკითხეთ იქაური ხალხის წარმომადგენლებს. ისინი გეტყვიან ხალხის აზრს, ხალხის სურვილს. ისინი ხომ მუდამ ხალხის სურვილზე ადგანან; უმთავრესი საგანი მათის მზრუნველობისა, მათის მოქმედებისა ცხოვრებაში ხალხია. ამას მაგალითით დაგიმტკიცებთ.

როცა თავი ამოჰყო „პარალელურმა სწავლებამ“, მაშინვე ერთს ადგილს ბუზეთში სხდომა გაიმართა. ამ სხდომაზე იყვნენ იქაური ხალხის წარმომადგენლები: **წურბელა მეიჯარიანი**, **ფუღურო ახალგაზდაძე**—ძველი სემინარიელი და **პედაგოგი ოპიროვი**. გარდა ამათსა აქ იყო მწერალი **ფუღურო ახალგაზდაძისა**, რომელიც სეკრეტრის თანამდებობას ასრულებდა. სხდომა გაიხსნა შვიდს საათზე. თავსმჯდომარეობდა მეიჯარიანი, ფუღურო ახალგაზდაძე და ოპიროვი მას იქეთა და აქეთა უსხდნენ. სეკრეტარი ცალკე სტოლთან იჯდა და ჰსწერდა, რასაც იტყოდენ მსაჯულები.

**თავსმჯდომარე.** „ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ ახლა აღძრულია კითხვა პარალელურ სწავლებაზე და საჭიროა ჩვენც წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი, როგორც აქაური ხალხის წარმომადგენლებმა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ხალხი და ჩვენ განუყრელი ვართ

სას, რომელიც აძლევდა მღვდლებს ნებას ყოფილიყვნენ მართველათ, ყურის-მგდებლებათ და მასწავლებლათ საზოგადო და კერძო დასაწყის სკოლებში.

ვალდებითი დაწყებითი სწავლა არის მიღებული მეოთხე მუხლით ამ გვარათ:

**მეოთხე მუხლი.** დაწყებითი სწავლა ვალდებულია ორივე სქესისთვის ექვსის წლიდგან ცამეტამდე. სწავლა ეძლევათ ან საზოგადო ან კერძო სკოლებში, ან სახლობაში, თუ მამა ასწავლის ან სხვა ვინმე პირი იმისაგან არჩეული.

შემდეგი მუხლები კანონისა ხსნიან დაწვრილებით თუ, როგორ იქნება ვალდებითი სწავლა:

**მეხუთე მუხლი.** ყველა სოფლის საზოგადოებაში და ქალაქის უბანში დაარსდება მუნიციპალური სასწავლებლების კომისია, რომელიც ყურს უგდებს, რომ სკოლაში უთუოთ იარონ ყმაწვილებმა. კომმისია შესდგება მერიდგან (ქალაქის ანუ სოფლის წარმომადგენელისაგან) და რამდენიმე წევრისაგან, რომელსაც ქალაქის რჩევა ანუ სოფლის საზოგადოება ნიშნავს. კომისიაში აქვს ხმა აგრეთვე სახალხო სკოლის ისპექტორს.

**მეექვსე მუხლი.** სწავლის გათავების შემდეგ ყმაწვილს მიეცემა მოწმობა იმაზედ, რომ იმან პირველ-დაწყებითი სწავლა შეასრულა. ეს მოწმობა მიეცემათ მხოლოთ საზოგადო ეგზამენიის შემდეგ. ისინი, ვინც კი მიიღებენ მოხსენებულ მოწმობას, შემდეგში განთავისუფლებულნი იქნებიან სკოლაში სიარულისაგან.

**მეშვიდე მუხლი.** მამა, აპეკუნი ანუ აღმზდელი ბავშვისა, ან სხვა ვინმე პატრონი, რომელთანაც იმყოფება ყმაწვილი, ვალდებულნი არიან, ორი კვირის წინათ სწავლის დაწყებისა სკოლებში, შეატყობინონ მერსა, რომ ის ასწავლის ყმაწვილს სახლში, ანუ საზოგადო ან კერძო სკოლაში. ორ უკანასკნელ შემთხვევაში პატრონი ყმაწვილისა ვალდებულია აცნობოს რომელ სკოლაში სწავლობს იმის ყმაწვილი.

**მერვე მუხლი.** ყოველ წლივ მერი, მუნიციპალური სკოლის კომისიის თანა შემწეობით, შეადგენს სიას ყველა ყმაწვილებისას 6 წლიდგან 13-მდე და შეატყობინებს ყველა იმ პირებს, ვისაც ყმაწვილები ჰყავთ, სწავლის დაწყების დროს; და თუ ორი კვირის განმავალობაში არ მიუვა კამისიას ზემოთ-ხსენებული განცხადება, მაშინ ყმაწვილს ჩასწერენ საზოგადო სკოლის მოწაფეთ, და ამას შეატყობინებენ ყმაწვილის პატრონს.

რვა დღის წინათ სწავლის დაწყებისა სკოლის კამისია შეატყობინებს დირექტორებს კერძო და საზოგადო სკოლებისას ყმაწვილების სიას, რომელნიც იმათ სკოლაში ივლიან. პირი ამ სიებისა გაიგზავნება დასაწყის სკოლებს ინსპექტორთან.

**მეცხრე მუხლი.** თუ ვინიცობაა ყმაწვილი დაანებებს თავს სკოლაში სწავლას, მშობლები ანუ სხვა პატრონები მოვალენი არიან შეატყობინონ მამასახლისსა ან ქალაქის თავს (მერს) თუ შემდეგში სად გააგრძელებენ ისინი სწავლას.

**მეათე მუხლი.** დირექტორები საზოგადო და კერძო სკოლებისა ყოველთვე წარუდგენენ მერს და ინსპექტორს დასაწყისი სკოლებისას იმ ყმაწვილების სიას, რომელნიც მიატოვებენ სკოლას და მოიხსენებენ თუ რა მიზეზით მიატოვეს.

კანონიერ მიზეზათ სკოლაში წაუსვლელობისა ითვლება მხოლოთ ყმაწვილის ავათ-მყოფობა ანუ სიკვდილი ბავშვის დედ-მამისა, ან ახლო ნათესავებისა, დაბრკოლება გზის სიცუდისა გამო, ანუ სხვა ამ გვარი განსაკუთრებითი მიზეზები.

**მეთერთმეტე მუხლი.** ყოველი დირექტორი კერძო სკოლისა, რომელიც კი არ ასრულებს ზემო მუხლში მოხსენებულ წესდებას, წარდგენილი იქნება მერისაგან, ან სკოლების ინსპექტორისაგან დეპარტამენტის კრებასთან, რომელსაც შეუძლიან დასაჯოს დირექტორი არა უმეტეს ერთის თვის დათხოვით, და თუ განმეორდება იმავე დირექტორისაგან ამავე წელსვე ეს შემთხვევა, მაშინ სამის თვით.

**მეთორმეტე მუხლი.** თუ ყმაწვილი ერთი თვის განმავლობაში ოთხჯერ დააკლდება სწავლას მიზეზის აუხსნელათ, მაშინ მამა, ანუ სხვა ამაზედ მზრუნველი პირი მოიწვევიან, მერის ზალაში, სადაც ზემოხსენებული კომისია, მოაგონებს იმის კანონს და აუხსნის თავის მოვალეობას; და თუ არ მოვა და მიზეზსაც არ წარმოადგენს, მაშინ კომისია გადასწყვეტავს იმის დასჯას.

**მეცამეტე მუხლი.** თუ თორმეტი თვის განმავლობაში პირველის დანაშაულის შემდეგ მშობლები კიდევ დაარღვევენ ამ კანონს, კომისია გადასწყვეტს კარებზე გამოჰკიდოს ქაღალდი, რომელზედაც იქნება დაწერილი, სახელი და თანამდებობა დამნაშავე პირისა და მიზეზიც დანაშაულისა. ესევე დასჯა გადახდებათ იმ პირებს, რომელნიც არ ასრულებენ მერვე მუხლს.

**მეთოთხმეტე მუხლი.** თუ ვინიცობაა კიდევ გაიმეორებს ერთი და იგივე პირი ამ დანაშაულს, ესე იგი უმიზეზოთ არ გაგზავნის თავის შვილს სკოლაში, მაშინ კომისია, ან ინსპექტორი მიმართავენ ჩივილით მომრიგებელ მოსამართლეს.

ვინც ამ სწავლის წესდებას დაარღვევს, დაისჯება ჯარიმის გადახდევინებით, (ეს გადასახადი შეადგენს 11-გან 15-მდინ ფრანკსა); ზოგჯერ ციხეში ჩასმითაც დაისჯება დამნაშავე, მხოლოთ ხუთის დღის მეტით კი არა; ჯარიმა შეიძლება შემოკლდეს ერთ ფრანკამდინ).

**მეხუთმეტე მუხლი.** კომისიას შეუძლიან დაითხოვოს სკოლიდგან ყმაწვილი დედ-მამის თხოვნით, მხოლოთ სამის თვით. ინსპექტორს კი ორის კვირით. კომისიას შეუძლიან დეპარტამენტის კრების ნება-დართვით განთავისუფლოს ყმაწვილები დღეში ერთის უროკიდგან, თუ ისინი საჭირონი არიან ხვნა-თესვაში ან ფაბრიკების მუშაობაში.

**მეთექვსმეტე მუხლი.** ყმაწვილები, რომელნიც შინა სწავლობენ, ვალდებულნი არიან ყოველ წლივ დაიჭირონ ეგზამენია იმ პროგრამმით, რომელიც იქნება გადაწყვეტილი მინისტრის ცირკულიარით; და თუ ორი პირველი ეგზამენი ან ერთი უკანასკნელი არ იქნება რიგიანათ დაჭერილი და კომისსია არ მიიღებს საკმაროთ, მაშინ მშობლები რვა დღის განმავლობაში ვალდებულნი არიან მიაბარონ თავიანთი შვილები კერძო ან საზოგადო სკოლაში, და შეატყობინონ მერს, არჩეული სკოლა. და თუ არ აასრულებენ მშობლები ამ მოვალეობას, მაშინ მერი თითონ ჩასწერს ყმაწვილს სკოლაში.

უკანასკნელის ორი მუხლის ძალით, ყველა საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სასწავლებლების კასსები; ზოგიერთ შემთხვევებში ამ კასსებს ექნებათ შემწეობა ხალხის განათლების სამინისტროსაგან.

## ინგლისი

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დონალდ **სტიუარტი** დაინიშნა ინდოეთის ჯარების უფროსად.

— გაზეთ „*Times*“ აცნობებენ დეპეშით ბომბეიდამ 10 იანვარს: „მაჰმადიან ინდოელებს შორის პოლაპურში აღმოუჩენიათ შეთქმა, რომლითაც მათ განუზრახავთ ევროპიელების დახოცვა, როდესაც ესენი შეგროვდებოდნენ საყდარში, და შემდეგ მთელის ქალაქის გაცარცვა. ამ შეთქმაში მონაწილეობა მიუღიათ 3,000 კაცს. 27 კაცი დატუსაღებულია“.

— გაზეთ „*Daily News*“-ში სწერენ კეპტოუნიდამ 10 იანვარს, რომ

---

ერთმანერთთან. ზარეში ჩვენსა არა არს ხალხი და ხალხი არის ჩვენთვის. უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს საგანი ფილოლოღიურად. საიდამ სწარმოებს სიტყვა „პარალელური“? მე, როგორც გამოცდილი კაცი და მეცნიერი სიტყვიერებაში, ვამტკიცებ, რომ ეს სიტყვა შეცდომით არის ნახმარი. პარალელური კი არა, უნდა ვსთქვათ „პარეალელური“. ამ შემთხვევაში ისე უნდა ვიგულისხმოთ, როგორც მაშინ, როდესაც ამბობენ, მაგალითად, **პარალელური გზის** გაყვანაო, როდესაც ერთის ადგილიდამ მეორემდის გაყვანილი გზის გაყოლება გაჰყავთ მეორე გზა თანასწორად დაშორებული პირველზე. ხოლო რაიცა შეეხება მეორე გზის გაყვანას, ამაზედ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. მეორე გზა გაჰყავთ მისთვის, რომ რამდენათაც მეტი გზებია, იმდენათ მეტი შემოსავალი აქვს იმათზე ხალხს რაისაგანაც დიდი სარგებლობა გამომდინარეობს. თქვენ რას იტყვით? (ჰკითხავს ფულუროს).

**ფულურო ახალგაზდაძე.** „მე ამას ვიტყვი: ჩემის აზრით, თქვენი ფილოლოგიური მოსაზრება მაინცა და მაინც ვერ არის საფუძლიანი. თქვენ ამბობთ **პარალელურიო**. ეს არ ვარგა. პარეალობა ვერაფერი პედაღოლობაა ჩემის აზრით, უნდა ვსთქვათ ჩვენ **პარალელური**.—ეს სულ სხვაა. მე ერთ დროს სემინარიაში ვიყავი და იქ მისწავლია ცოტაოდენი გრამატიკა და ფილოლოლია. თუ არ გჯერათ ჩემი ცოდნა, აგერ ჰკითხეთ ჩემს მწერალს, რომელიც არის მცოდნე და არ-რის მექონე, ჩემის წყალობით, ისეთი გამოდგა, რომ ერთი სტოლი მაგას აბარია ჩემს კანცელიარიაში. **პორალელური** იმიტომ უნდა ვსთქვათ, რომ ეს სიტყვა წარმოებულია სიტყვისაგან **пора** (დრო) ეს ნიშნავს: **სწავლა დროზე უნდაო**: აი რა არის პორალელური. ჩემი აზრი ეს არის, არ ვიცი, რას იტყვის ეს ჩვენი პედაღოღი (*pes*—ფეხი და *ago*—მიმყავს), ესე იგი „ფეხები მიმყავსო“.

**პედაგოგი.** მე რა უნდა ვსთქვა? თქვენ ხართ უმეტესად ხალხის წარმომადგენელი და თქვენ იცით. „ხმა ერისა—ხმა ღმრთისაო“, ნათქვამია. როგორც თქვენ ორი მიბრძანებთ, ისე ვიტყვი მეც.

ამის შემდეგ შეიქნა შედარება წარმოთქმულ აზრთა. ბევრი ილაპარაკეს და ხანგრძლივის მოსაზრების შემდეგ დასდვეს შემდეგი გადაწყვეტილება: „თუმცა პირველის შეხედულობით აზრი მეიფარიანისა განსხვავდება აზრისაგან ფულუროისა, მაგრამ შინაგანი მათ შორის განსხვავება და წინააღმდეგობა არავითარი არ არის; ერთი-მეორესთან მტკიცედ, შეურყეველად შეკავშირებულ არის, ვინაიდგან რასაც შეიცავს თავის შორის ძირი სიტყვისა **პარალელური**, ის თუ დროზე არ ხდება, არ ივარგებს, შეიძლება კაცმა თავი წააგოს.

„ასე და ამა პირსა ზედა: როგორც უნდა იყოს—პარეალური თუ პორალელური—სულ ერთია, და **პარალელური** კი არ შეიძლება რასა შინა ხელს ვაწერთ:

თავს-მჯდომარე **მეიფარიანი.**
ხალხის წარმ. **ფულურო ახალგაზდაძე.**
პედაგოგი **ორპიროვი.**
ბოლოს სეკრეტარმა მოაწერა ხელი.

აი რა ამბებია ჩვენს ბუზეთში! ჩვენშიაც მოიძებნებიან კეთილი ადამიანები. მაშ რა გეგონათ?

ბუზი-ბზუილა.

ბუზეთი, 8-ს იანვარს.

ბოერებმა დაიჭირეს ზირესტი (დასავლეთ მხარეზედ ტრანსვაალში).

### ოსმალეთი

გაზეთ „ვაქითში“ დაბეჭდილია წერილი ერთს ოსმალეთის დიპლომატისა, რომლითაც ურჩევს პორტას უსათუოდ უარ-ჰყოს მედიატორეთ სასამართლო და მისცეს საბერძნეთს რვა დღის ვადა, რომლის განმავალობაში უნდა მიიღოს მან ის ადგილები, რომელნიც ეძლეოდა 3 ოქტომბრის ნოტის ძალით. თუ საბერძნეთი უარს-ჰყოფს ოქტომბრის წინადადებას, მაშინ პორტამ უნდა შესწყვიტოს ყველა გვარი კავშირი საბერძნეთთან და განდევნოს ოსმალეთში მცხოვრები ყველა ბერძნები.

— ალბანიიდან მოვიდა ამბავი, რომ მაჰმადიან მცხოვრებთა შორის არეულობა მომხდარა. მოთავედ ამოურჩევიათ ელი-ბეი ბუშინიიდამ. იქიდამვე იწერებიან, რომ ოსმალეთის ჩინოვნიკები განდევნეს იუსკუბიდამ და ქუსლანოვიდამაო.

ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ „*Daily News*“: „მედიატორეთ რჩევის დანიშვნის წინადადება წარადგინეს ათინაში ინგლისმა, რუსეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ. გერმანიას და ავსტრიას, თუმცა მოსწონთ ამ რჩევის დანიშვნა, მაგრამ არ ეთანხმებიან და ხმაც არ მიუციათ ამის შესახებ. სტამბოლში ეს სახელმწიფოები თავშეკავებით მოქმედობენ.“

# განცხადებანი


**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში**. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.
100—2

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—2)

**„ქართული დრამატიული საზოგადოების“** დამფუძნებელნი მწევრნი მოწვეულნი არიან საზოგადოების საერთო ყრილობაში კვირას, 18 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე, თბილისის თავად-აზნაურთა ბანკში.

საგანი ყრილობისა: საზოგადო-ების მმართველობის არჩევა. 3—4

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—6)

**შოტლანდიის ქუდები** — 1 მან. 25 კაპეიკიდამ, ყმაწვილის წინდები, დუჟინი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდამ, ბრიტანიის მეტალის ჩაინიკები—1 მანეთიდამ და სხვა—ისყიდება **ლონდონის მაღაზიაში**, კამერჩესკი ბანკის ქვეშ.
10—8

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...
(100—15)

**ლონდონის მაღაზიაში** კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება. 10—9

# შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასალებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—17

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შედარებით ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ 40 კ

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—76)

**წარმატებაზე უკეთესი არა არის-რა,** ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდძალი **ჩაი** 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეტები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—15

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდამ, ხველის კანფეტები გირვანქა 60 კაპ. ქინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. **ინგლისის მაღაზიაში.**
10—9

### პატენტიანი შროტკები

ომებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ... ბი (წყლის დასაწრეტი) 3 მ.-დამ და ვედრები 1 მან.-დამ; თეფშები 2 მ.-დამ ინიდუქ; შოკოლადის კანფეტები 20 კ.-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურ მაღაზიაში.** (100—74)

### შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.
(100—91)

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეტები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — **ინგლისურ მაღაზიაში** არწრუნის გალერეიაში.
12—9

**მთელი ვაგონი** გემრიელი მურაბები—1 მან., პორტ-ვეინი და ხერესი—ბოთლი 1 მან. 20 კაპ., კონიაკი—2 მან.; დიდი ძალი საუკეთესო ჩაი—1 მან. 5 კაპ. 2 მანეთამდინ **ინგლისის მაღაზიაში.** 10—9

### ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1881 годъ

(четвертый годъ изданія) на

**„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“**

подписная цѣна:

Въ Тифлисѣ съ доставкою на домъ 3 руб., на ½ года 2 руб. 50 к.

Иногороднымъ съ пересылкою на годъ 5 руб., на ½ года 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджева, съ 9-ти утра до 8-ми часовъ вечера.
5—5

ქუთაისში

**„ივანე ნიკოლაძის და შვილების“**

მოდის მაღაზიაში

ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა**; ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშვებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით **„ივანე ნიკოლაძის და შვილების“** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა. (10—4)


Дозволено цензурою Тифлисъ 10 Января 1881 г. Типографія Меликова ბეჭდ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი